# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 მარტი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№46 (10 215) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# გაუმარჯოს პრეზიდენტს!

**ეს სტატია საგანგებოდ ერთი ამერიკული გაზეთისთვის დაიწერა, მისივე შეკვეთით. რაკილა სტატიის ავტორი გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი გახლავთ, ჩვენ საშუალება გვაქვს მანამდე გამოვაქვეყნოთ იგი, ვიდრე ოკეანისგაღმელი ამერიკელი მკითხველები წაიკითხავდნენ. იბეჭდება უცვლელი სახით.**



„საჭირო რომ გახდეს არჩევა — ჭადრაკი თუ პრეზიდენტობა — მე ჭადრაკზე ვიტყვი უარს", — ამას რომელიმე ხუმარა დედაკაცი კი არ ამბობს, ზამთრის გრძელი საღამოობით „საბავშვო შამათით" რომ იქცევს თავს, არამედ ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის გამარჯვებული, მსოფლიოში პირველი დიდოსტატი ქალი მამაკაცებს შორის. ნონა გაფრინდაშვილი კვლავაც აგრძელებს აქტიურ სპორტულ ცხოვრებას — რაც მოჭადრაკეებს შორის იშვიათობას არ წარმოადგენს. იგი მრავალ შეჯიბრებაში მონაწილეობს და პერსპექტიულ მოჭადრაკეს წვრთნის. მართალია, 1978 წელს დედოფლის ტახტი მან 17 წლის ასევე ქართველ, უნიჭიერეს მოჭადრაკეს მაია ჩიბურდანიძეს დაუთმო, რომელიც დღესაც ატარებს გვირგვინს. და თუმცა ამჟამად დედოფლის კარის უმრავლესობას ქართველი მანდილოსნები შეადგენენ, ნონას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი პირველია, მისით დაიწყო ჩვენი სახელგანთქმული მოჭადრაკე ქალთა სკოლა და ალბათ გასაკვირი არ არის, რომ ფაბრიკა „ივერიის" მიერ გამოშვებულ ქალების სუნამოს, რომელიც ლაზიერის ფორმის ფლაკონშია ჩამოსხმული, „ნონა" ჰქვია. ნონა, თუ გნებავთ, ჭადრაკის სიმბოლოა.

აბა, პრეზიდენტობა? ლაპარაკია გასული წლის ოქტომბერში ოფიციალურად შექმნილ ორგანიზაციაზე — საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტზე, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, სეოკ-ის აღიარების რეალური პერსპექტივები, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს წლებში, ძალზე მცირეა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა და მას უფლება აქვს იქონიოს სუვერენული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, სპორტულიც.

ჭადრაკი თუ პრეზიდენტობა — ხომ არა ჰგავს ეს არჩევანი ალტერნატივას დღევანდელ კვერცხსა და ხვალინდელ ქათამს შორის?

დიახ, უნდა გამოვტყდე, თავს ველარ ვიკავებ, — მე ძალიან მომწონს ეს ქალბატონი.

ჩვენ მის დიდ, პარადულობის გარეშე, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ბინაში ვსხედვართ, ოთახებს მაღალი ლარნაკები და სურათები ამშვენებს, რომელთა ავტორები ძირითადად ცნობილი მხატვრები არიან. ნონა გაზეთებით დახვავებულ ჟურნალების მაგიდას უზის — იგრძნობა, რომ მას უყვარს აქ ჯდომა. აცვია ფირმა „ადიდასის" ცისფერი სპორტული ფორმა — ეტყობა, ასე უფრო თავისუფლად გრძნობს თავს, ვიდრე ხალათში. ერთი სიტყვით, იგი შინ არის.

რაზე ელაპარაკება ერთმანეთს ორი ქალი, როცა მამაკაცები შინ არ არიან? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ პოლიტიკაზე ვლაპარა-

იხ. მე-2 გვ.

# ცხოვრებაშიც და სპორტშიც...

**რვა მარტი!** ამ დღის მოახლოება ჩვენს დიდ მოვალეობას გვახსენებს ხოლმე და იმ თბილ, უბრალო ადამიანურ საქციელს მაინც ჩაგვადენინებს, რომელიც ხშირად გვავიწყდება ჩვენ, კაცობრიობის ძლიერ ნახევრად წოდებულებს.

სიძლიერეს ერთი განმარტება არა აქვს, თუმცა ზოგი მას ფიზიკურ ძალასთან აიგივებს ხოლმე. ახლა ჩვენ ყველას გვიჭირს, უფრო კი — ქალებს. სამშობლოზე, შვილებზე, ქმრებზე, ძმებზე, თანამემამულეებზე შიშიანი ფიქრი, სულ უფრო გაძნელებულ წუთისოფელში ქვეყნის საყრდენი ქვაკუთხედის— ოჯახის შენარჩუნებაზე ზრუნვა მძიმე სულიერ და ფიზიკურ ტვირთად დააწვა მათს სუსტ მხრებს. 9 აპრილსაც ხომ წმინდა ზვარაკად მეტნი ისინი შეეწირნენ და სინანულის წარუხოცელი დაღი ამოგვიშანთეს აფორიაქებულ სულზე.

სიძლიერეს ერთი განმარტება არა აქვს. როგორც ძველი სიბრძნე გვასწავლის, მაინც სულია მისი ნავსაყუდელი. ახლა, სულიერად ამაღლების ნანატრსა და ძნელ დროებაში უფრო დავაფასეთ „სუსტი" ქალების სიძლიერე, მათი მხარში დგომის მნიშვნელობა, თავგანწირვის უნარი...

არც ჯანის სიმრთელე და ფიზიკური სიმარჯვეა მარტო ჩვენი — კაცების ბუნების კუთვნილება. აღტაცებულებს რამდენჯერ დაგვიკრავს მხურვალედ ტაში ქალებისათვის, სპორტულ სარბიელზე მათი გამარჯვებებით აღტაცებულებს. ისინი მამაცურად ადიოდნენ მთის მწვერვალებზე, წარმოუდგენელ ილეთებს ასრულებდნენ ტანვარჯიშულ იარაღებზე, სარეკორდო მანძილზე ტყორცნიდნენ ბადროს, ჭადრაკში ამარცხებდნენ ვაჟებს და... მაინც ქალებად რჩებოდნენ.

წინხედვით ხშირად გვჯაბნიან კიდეც. ცხრაასიანი წლების დასაწყისში, როცა ხალხს ქალის კი არა, ლამის კაცის ვარჯიში გადაავიწყდა, „შევარდენმა" ფართოდ გაშალა ფრთები და მის ქვეშ ერთ-ერთი პირველნი ქალები დადგნენ. რუსუდან ნიკოლაძე, მარო ტყავაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე და კიდევ სხვები, მათი სულიერი დები, ჩვენი სპორტის პიონერები იყვნენ, რომელთა მისწრაფებას პიროვნული ზრახვები კი არა, უფრო მეტად ახალგაზრდობის, ხალხის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა ედო საფუძვლად. შემდეგაც, მათს ნაკვალევზე, ბევრმა ქალმა ჩაწერა სახელოვანი ფურცლები საქართველოს სპორტის მატიანეში.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღტაცებული გუგუნი დაჰყვებოდა ნინო დუმბაძის ნატყორცნ ბადროს, ელენე გოკიელის ქურციკისებურ ქროლვას, მედეა ჯუღელის დახვეწილ მოძრაობებს... აქ კიდევ ბევრის დასახელება შეიძლება, რომელთა წარმატებების შესახებ ისედაც კარგად იციან ჩვენმა გულშემატკივრებმა.

ანდა, ჩვენი დიდებული მოჭადრაკე ქალები, ჩვენი რუსუდან სიხარულიძე, ჩვენი ქეთევან ლოსაბერიძე, ჩვენი ლეილა მესხი, ჩვენი საოცარი ნინო სალუქვაძე, ჩვენი... ჩვენი...

მათ ჩვენს სპორტს სილამაზე შესძინეს, გაამდიდრეს, ისევე, როგორც ლამაზი და მდიდარია ჩვენი დედაბუნება.

ჩვენ, გულშემატკივრები, მივესალმებით მათი ნიჭის ყოველ ახალ გაელვებას სპორტში, კვლავაც მხურვალედ ვუქომაგებთ მათ და მათს გამარჯვებას საკუთარ გამარჯვებად მივიჩნევთ.

ოღონდ... ნუ გამოვიჩენთ უაზრო სიხარბეს. ყალბად გაგებულმა ემანსიპაციამ და ჩვენმა წაქეზებამ, ღმერთმა ნუ ქნას, ზღვარი წაშალოს ქალთა და მამაკაცთა სპორტს შორის. ქალურობის, სიმშვენიერის სრული გაწირვით, არა გვგონია, დიდი სიხარული მოგვიტანონ სპორტსმენმა ქალებმა. სპორტში, პირველ ყოვლისა, მათი ქალური სიძლიერის გამოვლენა უნდა დავინახოთ, მათი ბუნების სიძლიერე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ისევე, როგორც ჩვენ თვითონ, ჩვენი საყვარელი სპორტიც უქალებოდ მხოლოდ ნახევარია მთელისა, რომელიც სწორედ მთლიანობითაა მშვენიერი.

# ნინო ონაშვილი და მისი თანაგუნდელები

**უახლოესი მომავლის იმედი, — ასე უწოდებენ ჩვენი მძლეოსნების სპეციალისტები ახალგაზრდა სპორტსმენთა ერთ ჯგუფს, რომელთა მიღწევები აშკარად გამოიკვეთა სხვა თანატოლთა შედეგებისაგან. ერთ-ერთი მათგანი ნინო ონაშვილია, ახლო წარსულში ცნობილი ძიუდოისტის გივი ონაშვილის ქალიშვილი.**



**ნინომ** შარშან და შარშანწინ უკვე დაამახსოვრა თავი მძლეოსნობის მოყვარულებსა და წლევანდელი სპორტული სეზონიც წარმატებით დაიწყო: სულ ახლახანს ადლერში იუნიორთა საკავშირო პირველობა ჩატარდა და ახალგაზრდა ქართველმა მძლეოსანმა იქ მეორე ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში — 52,38 მეტრი აჩვენა. სეზონის პირველი ასპარეზობის პირობაზე ნინო ონაშვილის (მწვრთნელი მამია ტუღუში) შედეგი მართლაც იმედისმომცემია.

იქვე, ადლერში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ნინოს თანაგუნდელმა ამბროსი მატიაშვილმა (მწვრთნელი რეზო კობიაშვილი) შუბის ტყორცნაში — 70,92 მ. ხოლო უროსმტყორცნელი იოსებ შავერდაშვილი უფროსებს შორის გამოდიოდა, კარგი შედეგი — 74,50 მეტრი აჩვენა და უძლიერესთა შორის ფინალში მოხვდა. შავერდაშვილს ომარ ოდიშვილი ავარჯიშებს. სამივე სპორტსმენი „შევარდენის" წევრია.

• • •

სურათზე: ნინო ონაშვილი.

## დაჯილდოება

**საქართველოს** სპორტსახკომმა კრივის განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის კრივის განყოფილების უფროსი მწვრთნელი ტარიელ პლატონის ძე ვერულაშვილი დააჯილდოვა საპატიო სიგელით.



# მეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში 30 მარტს დაიწყება

**გუშინ** გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ რესპუბლიკის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები და მწვრთნელები. სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების სტრუქტურაზე. გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში 18 გუნდი იასპარეზებს, პირველ ჯგუფში — 20, მეორე ჯგუფის პირველობა ზონალური პრინციპით (სამი ზონა) გაიმართება. უმაღლეს ჯგუფში ითამაშებენ თბილისის „იბერია" (ყოფილი „დინამო"), ლანჩხუთის „გურია", ქუთაისის „ქუთაისი". ბათუმის „ტაო" (ყოფილი „დინამო"), სოხუმის „დინამო", ფოთის „კოლხეთი", სამტრედიის „ლოკომოტივი", გორის „დილა", ხობის „კოლხეთი", ოზურგეთის „მერცხალი", რუსთავის „მეტალურგი", თბილისის „შევარდენი", წყალტუბოს „შადრევანი", ზუგდიდის „ოდიში" (ყოფილი „დინამო"), ოჩამჩირის „ამირანი", გალის „მზიური", ხაშურის „ივერია" და ცხინვალის „სპარტაკი".

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 30 მარტს დაიწყება.

# პირველი ჩემპიონი





**ჩვენს სპორტსმენებს მძლეოსნობის ბევრ დისციპლინაში მოუპოვებიათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ მძლეოსნურ კროსში — არასოდეს. და აი, ორიოდე დღის წინ ეს „თეთრი ლაქაც" შეივსო: აშხაბადში ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში, სადაც 12 კილომეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მიიჭრა თბილისელი სტაიერი ოლეგ სტრიჟაკოვი („დინამო").**

სიმართლე უნდა ითქვას: ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებიც კი არ ელოდნენ ასეთ შედეგს, რადგან სტრიჟაკოვმა (იგი საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონია 10 კილომეტრზე რბენაში), შარშან კროსში მხოლოდ მეცამეტე ადგილი დაიკავა. ახლა მას მიზნად დაუსახეს 9 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვედრა, რადგან კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში 12 კილომეტრიან დისტანციაზე ამდენი მორბენალი ვაჟი უნდა გამოვიდეს საბჭოთა კავშირიდან. თბილისელმა მძლეოსანმა კი ეს „გეგმა", როგორც ხედავთ, დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ახლად შექმნილმა მძლეოსნობის სასწავლო-მეთოდურმა გაერთიანებამ, როგორც უკვე გაცნობეთ, მის ხელთ არსებული თანხის რაციონალურად გამოყენების საფუძველზე, დააწესა წამახალისებელი პრემიები. აშხაბადში მიღწეული წარმატებისათვის ოლეგ სტრიჟაკოვი 1500 მანეთს მიიღებს, მისი მწვრთნელი კი — ამ თანხის ნახევარს. თბილისელ მძლეოსანს ამჟამად კონტრაქტის საფუძველზე ავარჯიშებს ლენინგრადელი სპეციალისტი ოლეგ პოტეხინი.

• • •

სურათზე: ოლეგ სტრიჟაკოვი.

# ისინი უკვე ლიმაში არიან

„ლელოს" მკითხველები დიდი ინტერესით შეხვდნენ საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს — ჩვენი კარატისტების გაერთიანებას ევროპის ტრადიციული კარატეს ფედერაციაში და მათს მიწვევას მსოფლიოს ჩემპიონატზე, პერუში. დღეს გუნდი უკვე ლიმაშია. იქ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში გაიმართება ტრადიციული კარატეს მსოფლიოს ფედერაციის კონგრესი და მიიღებენ ახალ წევრებს.

გუშინ შევიტყვეთ, რომ ლიმაში ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა ჩავიდეს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე. იგი მოსკოვიდან ხვალ გაფრინდება.

# არჩიეს ნანა ალექსანდრია

**გაიმართა** სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს სხდომა, რომელმაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა ნონა გაფრინდაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა იგი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ნონა გაფრინდაშვილს მადლობა გადაუხადეს ფონდში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია მსოფლიო ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს პრეზიდენტს!

(დასასრული)

კობთ — ნონა რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული. „მე საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისთვის ვიბრძოლებ, მაგრამ მთლიანად რესპუბლიკის სრული ეროვნული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე ეს შეუძლებელია, — ამბობს ნონა, — თუმცა ბრძოლა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის ყველა კანდიდატის პლატფორმას უძევს საფუძვლად. სხვა ამბავია, ვინ როგორ შეძლებს თავისი პროგრამის განხორციელებას, ვინ შემოგვთავაზებს რეალურ გზებს. ვფიქრობ, რომ შეიძლება სპორტში სუვერენიტეტის მოპოვებით დავიწყოთ. მაგალითად, სულ ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოვიდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობიდან. ქართველი ფეხბურთელები არ მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ვფიქრობ, ამ მაგალითს სხვა ფედერაციებიც მიჰბაძავენ. რესპუბლიკის ჩემპიონატები ძალზე მაღალ დონეზე უნდა ტარდებოდეს, ისეთზე, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდეს არც საკავშირო, არც საერთაშორისო დონეს, ანდა, რატომ არ შეუძლია საქართველოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი გახდეს, რატომ არ შეუძლია მონაწილეობდეს ოლიმპიადებში თავისი სრულუფლებიანი დამოუკიდებელი გუნდებით? საქართველოში ოლიმპიადების 100-ზე მეტი მონაწილეა, 25-მა ჩემპიონმა მოიპოვა 28 ოქროს მედალი. ჩვენს რესპუბლიკაში, სეოკ-თან შეიქმნა „ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი", რომლის ბადალი მსოფლიოში არ არსებობს..."

დეპუტატობის კანდიდატად ნონა გაფრინდაშვილი ზუგდიდში, თავის მშობლიურ ქალაქში იყრის კენჭს (ეს დასავლეთ საქართველოშია, თბილისიდან ზუგდიდამდე ჩაფრენას დაახლოებით ერთი საათი უნდა). ნონა ზუგდიდის „საპატიო მოქალაქეა". როგორც დეპუტატობის კანდიდატს, კონკურენტებიც ჰყავს. თავიდან ისინი ცხრანი იყვნენ, მაგრამ სამმა თვითონვე მოხსნა თავისი კანდიდატურა. არც დარჩენილ ექვს კანდიდატს მოუწევს იოლი ბრძოლა — ნონას თამაშშიც კი არ უყვარს დათმობა. მაგრამ იგი ძალზე სერიოზულია: „ყველა კანდიდატი კარგად არის მომზადებული, შანსი ყველა მათგანს აქვს".

ხანდახან ნონა საუბრის ძაფს კარგავს, თავს ოდნავ მარცხნივ და დაბლა ხრის, ჩუმდება და წამით ფიქრს ეძლევა. მაშინ იგი ძალიან ემსგავსება საკუთარ ფოტოსურათებს, თუმცა ცხოვრებაში გაცილებით უკეთესია. სახის კანი თეთრი და გადატკეცილი აქვს, თითქმის არც ერთი ნაოჭი არ ატყვია. მე მგონი, ნონა იმ ქალებს მიეკუთვნება, რომლებიც, რაც წლები გადის, უფრო და უფრო ლამაზდებიან.

„მე მიმაჩნია, რომ გადახედვა სჭირდება შრომით კანონმდებლობას ქალების შესახებ, უნდა დაჩქარდეს ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ კანონის მიღება, — ნონა თავის პროგრამას მაცნობს, — გარდა ამისა, დეპუტატობის კანდიდატის ამპლუაში ჯერ არ შევხვედრივარ ჩემს ამომრჩევლებს, ალბათ, ექნებათ რაღაც კონკრეტული სადეპუტატო განაწესები".

ნონა ადრეც და არაერთხელ ყოფილა რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი. „ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო, — ნონა გულახდილია, — დეპუტატს თითქმის არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა. ჩვენ არაფერში არ ვერეოდით, არაფერს არ ვწყვეტდით. ყველას ერთად უნდა აგვეწია ხელი თანხმობის ნიშნად, და ასევე ერთდროულად დაგვეშვა. სხდომები უამრავ დროს მართმევდა და ამის გამო ძალზე მეჯავრებოდა. ცვლილებები, რომლებიც გორბაჩოვის პოლიტიკამ მოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, მარტო იმას კი არ შეეხო, რომ ხალხის დეპუტატები ახლა საქმით, მართლა გადაწყვეტენ ხალხის ბედს, ცვლილებები იმაშიც გამოიხატა, რომ ადამიანებისთვის, როგორი მდგომარეობაც უნდა ეკავოთ საზოგადოებაში, სულ ერთი აღარ არის ის, რაც გარშემო ხდება. ახლა მე იმაზე კი აღარ ვფიქრობ, თუ რამდენ დროს წამართმევს დეპუტატობა, არამედ იმაზე, შევძლებ თუ არა იმ პროგრამის ხორცშესხმას, რომელსაც ვაყენებ. თუ გნებავთ, აზროვნების გარდაქმნა დაარქვით ამას".

ნონა თავის კაბინეტს მათვალიერებინებს — დიდი ნათელი ოთახია, პრიზებითა და სამახსოვრო საჩუქრებით სავსე. მედლები, თასები, ჭადრაკის „ოსკარი"... თვალები აქეთ-იქით გამირბის. „ეს ჭადრაკი ფილმ „დათა თუთაშხიაში" გადაიღეს (ძალზე პოპულარული ტელესერიალი — პ. ბ.), — ეს კი ჩემი ჭადრაკის მაგიდაა, ძალიან კარგია, სპეციალურად გამიკეთეს ბორჯომში". მე ნაკლებად ვერკვევი ჭადრაკის მაგიდებში, უცბად ვერც ნონას მაგიდაზე გაშლილ კომპოზიციაში გავერკვიე. ჭადრაკის ფიგურები მზეზე არ ბზინავს — ხშირი ხმარებისგან ლაქი გადასცლიათ. ნონას ვაჟი, უცხო ენათა ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, არასდროს არ შედის კაბინეტში, როცა დედა მუშაობს. ქმარი? ამბობენ, მისი მანქანის ნომერი მხოლოდ ხუთიანებისგან შედგება, სწორედ 5-ჯერ გახდა ნონა მსოფლიო ჩემპიონი. აქ, სახლში, ნონას გვირგვინს არავინ ეცილება.

ეს მომცრო ტანის ქალი არწივისებური ცხვირითა და მბრძანებლური მზერით, ოდნავ მოუქნელი მიხრა-მოხრით, ოღონდ პატარა, ძალზე ქალური ფეხით, მომხიბვლელი ღიმილით — ალბათ აღარასდროს გახდება ჭადრაკის დედოფალი, ხვალ კი შეიძლება ახალი ცხოვრებაც დაიწყოს — ჭადრაკის გარეშე. „თუ ჩემი რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, უყოყმანოდ გავაკეთებ არჩევანს!" მაშ, გაუმარჯოს პრეზიდენტს!..

**პეპი ბოჟორიშვილი.**

---

**ალბათ, საგაზეთო საქმიანობაში ჩახედული ადამიანი თუ გაგვიგებს, რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული დღეს დიდი სპორტის წარმომადგენლის ჯერ ინტერვიუზე დაყოლიება და შემდეგ მისი ხელში ჩაგდება. მით უმეტეს, თუ საქმე გვაქვს მსოფლიო რეიტინგებს „გამოდევნებულ" ჩოგბურთელთან, რომელსაც თითქმის არასდროს რჩება დრო კორესპონდენტთან საუბრისათვის.**



# პრობლემებზე სხვა დროს...

გამოგიტყდებით და, ამგვარ ჟურნალისტურ სტერეოტიპს ვერც მე გადავურჩი, როცა განვიზრახე სარვამარტოდ გაზეთის ფურცლებზე სასაუბროდ მომეწვია პოპულარული ჩოგბურთელი ლელა მესხი. სხვათაშორის, მის პოპულარობაზე, ალბათ ისიც ნათლად მეტყველებს, რომ სარედაქციო ფოსტაში ხშირად შემოდის წერილები, რომელთა ავტორები გვსაყვედურობენ, ბოლოს და ბოლოს გაარკვიეთ, ამ გოგოს რა ჰქვია, ზოგი გაზეთი ლელას წერს, ზოგი კი ლეილასო. როგორც თვითონ ჩოგბურთელმა აგვიხსნა, ოფიციალურად, პასპორტში ლეილა უწერია, შინაურები კი ლელას ეძახიან. როგორც ვთქვით, ლელა „ლელოს" სარვამარტო ნომრის სტუმარია, რაც იმანაც განაპირობა, რომ, ჯერ ერთი, მასზე ძალზე მშრალი ცნობები ქვეყნდება პრესაში — ძირითადად ის, რაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ტელეტაიპით მოდის, ამიტომ მას ნაკლებად იცნობენ გულშემატკივრები, მეორეც, დღევანდელი მიღწევებით იგი სავსებით იმსახურებს ამ უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ მასთან შესახვედრად კარგა ხნით ადრე დავიჭირე თადარიგი, საუბარი მაინც შეიძლებოდა არ შემდგარიყო. როგორც კი ახალი ზელანდიიდან დაბრუნებული თბილისში დავიგულე, ტელეფონით შეხვედრის დრო დავთქვით, მაგრამ ვერ მოიცალა. იგი კრასნოიარსკში გაფრინდა, სადაც სსრ კავშირის ზამთრის პირველობაში ჩაება. მერე „სოვეტსკი სპორტში" გაჩნდა ცნობა, რომ ლელა მესხი ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას და შინ განაგრძობს მკურნალობას. და, აი, ახლა იგი მეუღლითურთ გვეწვია რედაქციაში. პირველ ყოვლისა, დავინტერესდით, როგორ მიდის მკურნალობა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ არის — მარჯვენა მტევანია დაჭიმული და მკურნალობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. ასე რომ, ჩოგბურთელი არც ამ დღეებშია უქმად და პროცედურასთან ერთად საერთო ფიზიკური მომზადების დატვირთვას იღებს.

საუბარი დაიწყო კრასნოიარსკის ჩემპიონატით, რომელსაც არაოფიციალურად „განხეთქილების კორტი" შეერქვა. ეს იმან განაპირობა, რომ ზამთრის ჩემპიონატი უვარსკვლავებოდ დარჩა.

— დიახ, — თქვა ლეილა მესხმა, — კრასნოიარსკელებმა კორტზე ვერც მედვედევა, ზვერევა და სავჩენკო იხილეს. არადა, ეს ხომ საბჭოთა ქალთა ჩოგბურთის ნაღებია. წარმომიდგენია, როგორი ინტერესით ელოდნენ მათ იქაური გულშემატკივრები. სამწუხაროა, რომ ასე მოხდა, მაგრამ რას იზამ. „სარეიტინგო შეხვედრები", რაც ძირითადად საერთაშორისო შეხვედრებს ითვალისწინებს, შინაურ შეჯიბრებებში გამოსვლის შესაძლებლობას გვიზღუდავს. კალენდრით ყოველ ორშაბათს ახალ-ახალ შეჯიბრებაში გვიხდება გამოსვლა და ყველას იქით უჭირავს თვალი. მაგრამ, როცა მთელი წლის კალენდარი წინასწარ გაქვს შედგენილი, საკავშირო ტურნირებიც უნდა გაითვალისწინო. უნდა შეძლო თითო კვირა ზამთრისა და ზაფხულის საკავშირო ჩემპიონატებსაც დაუთმო.

● **როგორ ფიქრობთ, უთქვენოდ ვის დარჩება ბურთი და მოედანი კრასნოიარსკში?**

— ალბათ, 18 წლის ოდესელ ჩოგბურთელს ელენა ბრიუხოვეცს. სხვათა შორის, იგი შარშანდელი ზამთრის პირველობის გამარჯვებულია და ახლა ძირითადად ახალგაზრდობასთან ექნება საქმე. სამწუხაროდ, ახალგაზრდებში არ მეგულება ისეთი ჩოგბურთელი, სენსაციის მოხდენა რომ შეეძლოს.

● **ხშირად გიწევთ საზეიმო დღეების შინაურებში გატარება?**

— ძალზე იშვიათად. თუმცა წლევანდელი წელი გამონაკლისია. ახალ წელსაც შინ შევხვდი. ისე კი, ბოლო ოთხი-ხუთი წელია ასეთ დღეებს საზღვარგარეთ მილოცავენ ხოლმე თბილისიდან ტელეფონით ჩემიანები.

● **მაინც როგორ ჩაივლის ამჯერად თქვენთვის რვა მარტი?**

— სვანეთის უბანში ვცხოვრობთ, სახლში გვაქვს ბუხარი, რომელთანაც თავს მოვიყრით ჩემი კურსელები (წელს ვამთავრებ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს). ჩვენთან იქნება ჩემი მეუღლე პავლე ნადიბაიძე, — გაიცანით. სხვათა შორის, ისიც სპორტსმენია. ადრე ალექსანდრე ილიადისთან დადიოდა ფეხბურთზე, ახლა დიდად მეხმარება ფიზიკურ მომზადებაში, ერთად დავრბივართ კუს ტბაზე.

მეგობრებთან ერთად გავიხსენებთ ძველ ამბებს. პავლე მოგვემსახურება, მწვადს შეგვიწვავს, ეხერხება, მწვადი ჩემს მეგობრებს უფრო უყვართ, მე კი საერთოდ გულგრილი ვარ ხორცეულისადმი. აი, ნამცხვარი ძალიან მიყვარს, მაგრამ ყოველთვის თავს ვიკავებ, მოგეხსენებათ რატომ. ამ დღეს კი თავს უფლებას მივცემ, ერთი ნაჭერი ზედმეტი შევჭამო.

● **დამეთანხმებით, დღეს მსოფლიოში ნამდვილი საჩოგბურთო ბუმია. რამ გამოიწვია ეს?**

— სწორი ბრძანდებით. ამაზე მეტყველებს, ალბათ, ის ზღაპრული ჰონორარები, რომლებსაც გამარჯვებულთათვის არ იშურებენ. მაგრამ, ვფიქრობ, მარტო ჯილდოში არ უნდა იყოს საქმე.

ჩოგბურთი ძალზე ელეგანტური თამაშია. და, ალბათ, დღეს ელეგანტობის დეფიციტს განიცდის მსოფლიო. აი, ეს მიმაჩნია მისი გაზრდილი პოპულარობის მთავარ პირობად.

● **როგორ გგონიათ, იმ ჰონორარებმა, ვალუტისა თუ სხვა სახით, რამე თუ შესძინა სპორტული თვალსაზრისით ჩოგბურთს, ამ „სტიმულატორებმა" გაზარდა თამაშის კლასი?**

— სხვისა რა მოგახსენოთ, პირადად მე კი ისეთი განწყობით არ გავდივარ კორტზე, რომ ამ მოგებით დიდ თანხას მივიღებ. ჩემთვის მთავარია სპორტული ინტერესი. ფულზე რომ ვიფიქრო, ვერც ერთ თამაშს ვერ მოვიგებ. ისე კი ალბათ გარკვეული წილი ამ ფინანსურ წახალისებასაც უდევს თამაშის კლასის გაზრდაში.

● **თუ იცით, იმ თქვენი შემოსავლის 75 პროცენტიდან, რასაც „სოვინტერსპორტი" გართმევთ, რა თანხა ხმარდება ქართულ სპორტს, კერძოდ, ჩვენს ჩოგბურთს?**

— რესპუბლიკებს ალბათ არაფერს აძლევენ. მე და ჩემი მწვრთნელი თეიმურაზ კაკულია სწორედ იმისთვის ვიბრძვით, რომ რაღაც თანხა მაინც მოხმარდეს ქართულ ჩოგბურთს. ჯერჯერობით არაფერი გამოგვდის, მაგრამ საბოლოოდ უნდა მივაღწიოთ რაღაცას. სხვათა შორის, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით მივაღწიე იმას, რომ საზღვარგარეთ ყველგან გამოვდივართ არა საბჭოთა სპორტსმენთა, არამედ საქართველოსა და თბილისის სახელით.

● **თქვენს ბოლოდროინდელ წარმატებებზე რას გვეტყოდით?**

— ბოლო გამარჯვება ახალ ზელანდიაში მოვიპოვე, სადაც პირველიდან ოცდაათივე მონაწილე მაღალი რეიტინგისა გახლდათ. რეიტინგით ოცდამეათე ვიყავი. ტურნირის დამთავრების შემდეგ მეთვრამეტე ადგილზე გადავინაცვლე. დასამახსოვრებელი კი რანგით უფრო მაღალი — ნეშვილის ტურნირი იყო, სადაც ვძლიე ბულგარელ მალეევას, ჰოლანდიელ ბოლეგრაფს, კანადელ კელეს და ამერიკელ უაიტს. ისინი მსოფლიოს პირველი ათეულის ჩოგბურთელები არიან.

● **ხელი სად იტკინეთ?**

— მაიაში, ფლორიდის შტატის ღია პირველობაზე, მაგრამ ამ ნატკენი ხელით სავჩენკოსთან ერთად წყვილთა ფინალი მოვიგე.

● **ახლა ბევრი საშუალებაა, რომ ოჯახის წევრებთან ერთად წახვიდეთ საზღვარგარეთის ტურნირზე...**

— დიახ, მეუღლესაც წავიყვან ხოლმე.

● **რას იტყოდით თქვენს მწვრთნელზე?**

— თეიმურაზ კაკულია როგორი კარგი ჩოგბურთელიც იყო, ისეთივე კარგი მწვრთნელია — მომთხოვნი და მებრძოლი. მოგეხსენებათ, ჩვენი საჩოგბურთო პრობლემები უბრძოლველად არ წყდება. ჰოდა, კაკულიაც იბრძვის და ბობოქრობს...

● **როგორ უყურებთ ჟურნალისტებთან შეხვედრებს?**

— თუ ეს შეჯიბრების წინ უნდა მოხდეს, გავურბივარ. თავისუფალ დროს კი სიამოვნებით ვხვდებით მათ.

● **ჩოგბურთის პრობლემებიახსენეთ. კერძოდ, რას გულისხმობთ?**

— პრობლემები, რომ იტყვიან, თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ ახლა, ამ საზეიმო განწყობილებით, მათზე საუბარი არ ღირს, სხვა დროს იყოს...

**ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.**

---

# უშუ გიწვევთ

**უშუ-ს** ახალდაარსებული სკოლა (შაო-ლინ-ჩუან-ფა) აცხადებს, რომ 1990 წლის 8 მარტს, კიროვის პარკის კალათბურთის კომპლექსში, დღის 12 საათზე ჩამოყალიბდება:

1. უშუ-ს შემსწავლელი ჯგუფები (სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში);

2. უშუ-ს საქართველოს ფედერაციის სარეგისტრაციო-საკონსულტაციო ცენტრი.

**საქართველოს უშუ-ს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი.**



# ქალთა ტრადიციული

**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობდა ქალაქის ქალთა ტრადიციული სპარტაკიადა, სადაც თერთმეტი უმაღლესი სასწავლებლის, ათი ტექნიკუმის, ცხრა საწარმოო კოლექტივის ფიზკულტურელები და სპორტსმენები იბრძოდნენ. ისინი სპორტის რვა სახეობაში ცდიდნენ ძალას. გადაწყდა, რომ გაისად სპარტაკიადის პროგრამა თორმეტამდე გაიზარდოს.

ეს საქალაქო სპარტაკიადა მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა დაასრულეს. აქ გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა თბილისის უნივერსიტეტის ნაკრებმა. მეორე იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, ხოლო მესამე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი.

პირად პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თინა ნადირაშვილმა. აქ წარმოდგენილ სურათზე სწორედ თინა ნადირაშვილს ხედავთ.

**ვიქტორ ბუკიას ტექსტი და ფოტო.**

# 12 უძლიერესი, წრიული სისტემით

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დაიწყო რესპუბლიკის ჭაბუკთა პირველობა საერთაშორისო შაშში. შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს 12 უძლიერესი მოშაშე მონაწილეობს, მიმდინარეობს წრიული სისტემით.

ასპარეზობა 15 მარტამდე გასტანს და გამარჯვებული მოიპოვებს საკავშირო ტურნირში მონაწილეობის საგზურს. აღნიშნული შეჯიბრება გაიმართება 21-31 მარტს ქალაქ პინსკში. პარალელურად დაიწყო მსგავსი ღონისძიება 64-უჯრიან შაშშიც.

**ვლადიმერ კანდელაკი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამალი რა არის...

# მილიონერის გასაჭირი

## ანუ იმის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს გაზეთის მუშაკთა მატერიალურ შეზღუდვებს რედაქციისათვის

„მილიონერის გასაჭირი"! — ამთავითვე ვიტყვით, რომ სათაურის ორიგინალობას არ ვიჩემებთ, მაგრამ იგი მართლაც ზუსტად ესადაგება ჩვენს სათქმელს.

რა მილიონზეა ლაპარაკი? შევეცდებით მკითხველის ცნობისმოყვარეობა ახლავე დავაკმაყოფილოთ. „ლელოს" წლიური მოგება, გარდა იმისა, რაც ყველა გაწეული ხარჯების დაფარვას სჭირდება, შეადგენს ერთ მილიონ მანეთს!

სად მიდის ეს თანხა? — ბიუჯეტში! კეთილი და პატიოსანი, სამდურავი და სასაყვედურო რა იქნებოდა, ამ ციფრების მიღმა რედაქციის, მისი თანამშრომლების გაჭირვება რომ არ იმალებოდეს. განა ცოტაა მილიონერი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოსაც სოლიდურ მოგებას აძლევს და არც თანამშრომლები ჰყავს უკმაყოფილო? სამწუხაროდ, ჩვენ არ შევდივართ ამ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვში.

რა გვიჭირს? რაღა არა: უპირველესი პრობლემა მუშაკთა მატერიალური ანაზღაურებაა. ხელფასებმა ბოლო წლებში ნელ-ნელა იმატა, მაგრამ იმ ზღვარს მაინც ვერ მიაღწია, გაუფასურებული მანეთის პირობებში, უბრალოდ, ციფრი (ხელფასის გამომხატველი) მაინც რომ იყოს შთამბეჭდავი. მართალია, ამ ორი წლის წინათ რედაქციებს მიეცათ უფლება, შტატის შემცირებით და ხელფასის ფონდზე ცოტაოდენი წამატებით სხვა თანამშრომლებისთვის გაეზარდათ ანაზღაურება, მაგრამ... თავი დავანებოთ იმას, რომ აქაც ზღვარია დადგენილი და ამ ზღვარს ვერასგზით ვერ გადააბიჯებ. ჯერ ერთი, ისედაც მცირერიცხოვანი შტატიდან ვინ გინდა, უფრო სწორად, რა თანამდებობა გინდა ვაწირო, რომ ან საქმე არ დაზარალდეს ან პიროვნება? მაგალითისთვის, ამჟამად „ლელოში" შტატით მხოლოდ 7 შემოქმედებითი მუშაკია, მათი საშუალო ხელფასი 180 მანეთს შეადგენს.

ჰონორარებიო, იტყვით. ჩვენც დაუფარავად მოგახსენებთ: საბჭოთა კავშირში ალბათ არც ერთ სპორტულ გამოცემას არა აქვს ისეთი მცირე ჰონორარი (ერთ ნომერზე), როგორც „ლელოს". თუ ბოლომდე სამართლიანები ვიქნებით, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამაში ბრალი მიუძღვის არა გადამთიელს, არამედ ჩვენსავე თანამემამულეებს, ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინათ იმავე შენობაში რომ ისხდნენ, სადაც ამჟამად ჩვენი გაზეთების რედაქციები, მათ შორის „ლელოა" მოთავსებული.

110 (ას ათი) მანეთი ნომერზე ანუ 27 მანეთი და 50 კაპიკი (ოცდაშვიდი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი) გაზეთის ერთ გვერდზე — ასეთია „ლელოს" ჰონორარი. 27 მანეთი და 50 კაპიკი, არ დაგავიწყდეთ, იმდენ რედაქციის მუშაკსა და შტატგარეშე ავტორზე უნდა განაწილდეს, რამდენი მასალა ან ფოტოც იბეჭდება ერთ გვერდზე. იმავე მოცულობის მასალაში, რასაც „ლელოს" ერთი გვერდი იტევს, სხვა რესპუბლიკური გაზეთები, მათ შორის წამგებიანი გამოცემებიც კი, შეუდარებლად მეტს უხდიან ავტორს. ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია გარეშე ავტორთა მოზიდვის საკითხთან, შტატის მუშაკებს კი, ცხადია, მუშაობის სტიმულს და ხალისს უკარგავს. საბოლოო ანგარიშით ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, გაზეთის ხარისხზე მოქმედებს.

რა ვქნათ? რამდენს ვეცადეთ, არაფერი გამოვიდა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური აპარატის მიერ ოდესღაც მიღებული გადაწყვეტილებები არ იცვლება. სხვადასხვა, უფრო შეძლებული რედაქციებიდან, როგორც იტყვიან, პირდაპირ ნადირობაა პროფესიონალ ჟურნალისტებზე. ამის გამო, სხვისი რა მოგახსენოთ და, „ლელო" ძალიან ზარალდება. მკრეხელობა იქნება ამ პროცესს ჟურნალისტთა გადაბირება დავარქვათ. ლოგიკა შეუვალი არგუმენტია — ჟურნალისტი მიდის იქ, სადაც მეტს უხდიან, უხდიან კი შეუდარებლად მეტს, ვიდრე ვთქვათ, „ლელოში" აქვს ხელფასი და ჰონორარი ერთად აღებული. თანაც საღამოს და დასვენების დღეებში სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება აღარ გევალება.

შიშველი ენთუზიაზმით პროფესიონალ ჟურნალისტს შენს გვერდით ვერ დააკავებ და ვერც დააპურებ. ცხადია, ახლა ამ პროცესის შეჩერება მხოლოდ ჟურნალისტთა მატერიალური დაინტერესებით თუ შეიძლება — დღეს, ახლავე (თუ უკვე გვიან არ არის) და არა შემდგომში. სამწუხაროდ, ჩვენ მოვლენებს უკან მივდევთ მეხანძრეებივით. ვიცით, ბოლოს და ბოლოს ჩვენც მოგვხედავენ, მაგრამ გვიან იქნება. გაძარცულმა რედაქციამ თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. მკითხველმა რა დააშავა?..

ახლა საქმე იქამდე მივიდა, რომ კრიზისი მბეჭდავ-მემანქანეებსაც შეეხო. საქართველოში დღეს მათი დეფიციტიც იგრძნობა. რედაქციის მუშაკზე უკეთ მომზადებულ სპეციალისტს სად იშოვნის მაძიებელი? ჩვენი 100-120 მანეთი მონაგონია იმ თანხასთან, რასაც სხვაგან პროფესიონალ მბეჭდავ-მემანქანეებს თვეში სთავაზობენ, თანაც — ნაკლებ სამუშაოში.

გაზეთის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა გამოქვეყნებულ განცხადებებში გამომცხადებლის მიერ გადახდილი საფასური. რა უხერხულობას გვიქმნის ეს წესი, ამას წინათაც ვწერდით ჩვენს გაზეთში. მკითხველი გააოცა იმან, რომ თუნდაც თბილისში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების შესახებ „ლელოში" ქვეყნდება მხოლოდ ის განცხადებები, რომლებშიც ფულია გადახდილი. „სოვეტსკი სპორტს" კი შემორჩა რუბრიკა „სეგოდნია ვ მოსკვე". ადრე თქმულს ვიმეორებთ, „სოვეტსკი სპორტის" შემოსავალი საკავშირო სპორტსახკომში მიდის, „ლელოსი" კი — ბიუჯეტში, აი რა გვბოჭავს. ამასთან „ლელოს" ცალკე ბუღალტერია არა აქვს, ყველაფერი ცენტრალიზებულად ხდება. ის კი არა, დაღუპულ სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა განცხადება-ნეკროლოგებზეც რეგლამენტია დაწესებული. თანაც სულ პატარა სამგლოვიარო განცხადების გამოქვეყნება 120 მანეთი ღირს (შეგახსენებთ, „ლელოს" ერთი მთლიანი ნომრის ჰონორარი 110 მანეთია).

როგორც გვეუბნებიან, მატერიალური შეზღუდვების ერთი მიზეზი გახლავს ის, რომ „ლელო" ერთი ნომრით ნაკლები გამოდის კვირაში, ვიდრე სხვა ჩვენი ყოველდღიური გაზეთები. მართლაც, რას არ მოიგონებს ბიუროკრატიული აპარატი.

შინაურებთან კიდევ რა გვიშავს, მაგრამ პირდაპირ სირცხვილის ალმური გედება, როცა უცხოელ კოლეგებთან ან სპორტის სპეციალისტებთან გვიხდება საუბარი, ვთქვათ, გაზეთისთვის ინტერვიუს აღება. მამაპაპური წესით კალმისტარ-ბლოკნოტით აღჭურვილები ველაპარაკებით, ძვირფას დროს ვართმევთ სტუმრებს. არც ერთი მინიატურული მაგნიტოფონი რედაქციაში არ გაგვაჩნია, სხვა საშუალებებზე, მათ შორის ვიდეოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია — გადარიცხვით ვერაფერს იშოვი, ნაღდი ფულით კი — ჩვენთან მოგეხსენებათ, როგორც გამონაკლისი მხოლოდ ცოცხის და წვრილმანი საკანცელარიო საგნების შეძენა თუ შეიძლება, ისიც... 10 (ათი) მანეთის ფარგლებში.

მაგრამ სხვა ქვეყნების ჟურნალისტებს მხოლოდ ამით როდი ჩამოვრჩებით, ვერ ვამყარებთ პირდაპირ კონტაქტებს უცხოელ კოლეგებთან, გამორიცხულია ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებაზე საზღვარგარეთ კორესპონდენტის მივლინება, ერთადერთი გზა, ისიც ძალიან შეზღუდული, ტურისტულ ჯგუფთან ერთად საკუთარი სახსრებით გამგზავრებაა, თუ ამას ცენტრი, საკავშირო სპორტსახკომის თანამშრომლები მოისურვებენ. სხვა წვრილმან საკითხებზე აღარ შევჩერდებით, თუმცა რედაქციის მუშაობაში წვრილმანი არ უნდა არსებობდეს.

ღირს კიდევ ლაპარაკი? კიდევ ერთ საკითხზე ღირს! „ლელო" ერთადერთი გაზეთია, რომელსაც თავისი საკორექტორო არ გააჩნია. ეს პრობლემა „ძველია არ ახალია".

და კიდევ „ლელო", მოგეხსენებათ, რესპუბლიკური გაზეთია. როგორ გინდა მთელ რესპუბლიკას გასწვდე თუ რაიონებში ერთი საკუთარი კორესპონდენტიც არა გყავს და ვერც ჰონორარით მოიზიდავ თუნდაც შტატგარეშე თანამშრომელს? როგორ გინდა გასწვდე ყველაფერს, თუ სამივლინებო თანხები შეზღუდული გაქვს და სატელეფონო ხარჯებიც წინასწარ დაგეგმილი და მკაცრად განსაზღვრულია? (ამ საკითხში ვერ დავემდურებით გამომცემლობის ბუღალტერიას, „გვაპატიებენ" ხოლმე გადახარჯვას).

ჟურნალისტებისა ხშირად შურთ. ვფიქრობთ, იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, ჩვენი ბევრს აღარ შეშურდება. მითუმეტეს, რომ მეცნიერთა დასკვნებით, ჩვენი პროფესიის ხალხის სიცოცხლის ხანგრძლივობა ყველაზე ნაკლებია მეშახტეების შემდეგ.

რა უნდა გაკეთდეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები გადაიჭრას? არსებობს მდგომარეობის გამოსწორების რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ჩვენი ბედით დაინტერესებულთ შეგვიძლია ცალკე გავაცნოთ.

იმედია, ბოლოს და ბოლოს ჯადოსნური წრე გაირღვევა და ოდესღაც ცენტრიდან ბიუროკრატიულ-მბრძანებლური აპარატის ზეგავლენით დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება.

ახლა სხვა დროა. დროს კი არ უნდა ჩამოვრჩეთ.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

---

რაგბი: გზა წინსვლისა

# როცა „ცენტრი" ვეღარ „ცენტრობს"

**ბევრჯერ** დაწერილა, რომ საერთაშორისო სპორტში რესპუბლიკათა უკითხავად მიღწეულ და ათწლეულობით განმტკიცებულ მონოპოლიას „ცენტრი" უბრძოლველად არ დათმობს. ამიტომაა, რომ დღესდღეობით ათასგვარმა ხრიკმა, შანტაჟმა, ფარულად ხელის შეშლამ, თვალთმაქცობამ, „თაფლაკვერისა და ხელკეტის" პოლიტიკის გამოყენებამ, რასაც „ცენტრი" უეჭველად ეცდება, სპორტული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე დამდგარნი არ უნდა გაგვაკვირვოს.

და მაინც, ეტყობა, არსებობს „დიდი სპორტის" ისეთი უბნები, სადაც „ცენტრი" ძველებურად ვეღარ „ცენტრობს", მის მიერვე დაწესებულ უაზრო და ბეც კანონებსა თუ შეზღუდვებს ვეღარას შველის. ამის თვალსაჩინო მაგალითია რაგბი, რომლის საკავშირო ფედერაცია ჯერაც არაა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) წევრი და, თუ ახლანდელ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, ერთხანს კიდევ ვერ შევა ამ ორგანიზაციაში, რაკილა საკავშირო სპორტსახკომი ალბათ კვლავაც არ დართავს მას ამის ნებას.

„ლელოს" მკითხველს მოეხსენება, რომ საკავშირო სპორტის „მესვეურთა" რაგბისადმი ამგვარი დამოკიდებულებით დიდებულად ისარგებლა საქართველოს რაგბის კავშირმა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ქართველი მორაგბეები სულ ახლოს არიან სანუკვარ მიზანთან — მსოფლიო აღიარებასთან. **სამ კვირაში ხომ საერთაშორისო საბჭოს წლიური სხდომა გაიმართება და ჩვენს კავშირს ირბ-ში მიიღებენ, ეს კი საქართველოს რაგბიში უფლებრივად სსრ კავშირზე წინ დააყენებს.**

ცხადია, ყოველივე ეს „ცენტრს" გულზე მალამოდ არ ეცხება, მაგრამ რაკილა „გათავხედებული" ფედერაციებისთვის თავისივე უნიათობით ვერ მოუვლია. ბოლო დრომდე თავს იკატუნებდა და ირბ-სთან საქართველოს რაგბის კავშირის „დამოყვრებას" ვითომ ვერ ამჩნევდა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ „ცენტრმა" ამ ურთიერთობის შესახებ დანამდვილებით მართლაც არაფერი იცოდა, ჭორებს კი ყურს არ უგდებდა. თავის მხრივ, არც საქართველოს რაგბის კავშირი გარჯილა საიმისოდ, „ცენტრს" რომ რამეს დაჰკითხებოდა ან მისთვის რაიმე ეცნობებინა.

კუკუდამალობანა თითქმის შვიდ თვეს გაგრძელდა. ბოლოს თავად ირბ-მ შემოუთვალა ქართველ მორაგბეებს, „უეჭველად გაღიარებთ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის შესახებ რუსებს მაინც აცნობეთ, ემანდ, მსოფლიო რაგბიზე გული მთლად არ აიყარონ და, თქვენს აღიარებას „პოსტ ფაქტუმ" რომ შეიტყობენ, რამენაირად არ გიმუხთლონო". ჩვენმა რაგბის კავშირმაც ყურად იღო მსოფლიო რაგბის „მამების" რჩევა და მხოლოდ ახლა, როცა საბჭოს წლიურ სხდომამდე და ხრიკების მოსაწყობად ერთობ მცირე დრო რჩება, ყველაფერი საკავშირო ფედერაციას აუწყა.

ამაზე „ცენტრის" რეაქცია ერთობ მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, ქართველ ფეხბურთელთა თებერვლის გადაწყვეტილებამ მოსკოველი „დიდი მოხელეები" დააბნია და დააშინა. თანაც, უეჭველია, ფეხბურთისაგან განსხვავებით, რაგბიში „ცენტრი" თავადაც გრძნობს თავის უმწეობას და მეტი რა გზა აქვს — მსოფლიო სარაგბო კულუარებში მასზე უკეთ გარკვეულ და გათვითცნობიერებულ საქართველოს რაგბის კავშირის მოთხოვნებს უნდა დაყაბულდეს.

„ცენტრის" ამგვარი კაპიტულაცია თვალნათლივ გამოჩნდა გუშინწინ მოსკოვში გამართულ საკავშირო ფედერაციის პლენუმზე. სხდომა ოთხ საათს გაგრძელდა. მასპინძლებმა თავიდანვე ვითომც შორს დაიჭირეს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ალექსი გოცირიძის წერილობით მიმართვაში ერთობ კატეგორიულად და მკვახედ ჩამოყალიბებული მოთხოვნები, მაგრამ მერე და მერე, თანდათან იძულებული შეიქნენ ქედი მოეხარათ საქართველოს დელეგატების — კავშირის მდივნის დავით კილასონიას, კავშირის პრეზიდიუმის წევრების — ირაკლი კიზირიასა და რომეო ღვინიაშვილის, ქუთაისის „აიას" მწვრთნელის დუგლას კავთელაშვილის არგუმენტების წინაშე.



**საბოლოოდ, სსრ კავშირის რაგბის ფედერაციის ამ პლენუმმა საბჭოთა სპორტის ისტორიისათვის მართლაც რომ უმაგალითო დადგენილება გამოიტანა:**

**„1. რაგბის საკავშირო ფედერაცია აღიარებს საქართველოს რაგბის კავშირის სრულ დამოუკიდებლობას.**

**2. შეიქმნას კომისია (ნ. ბრედლოვი, ი. მედეკშა, ვ. სვირიდოვი — სსრ კავშირიდან; დ. კილასონია, რ. ღვინიაშვილი, რ. ყანჩაველი — საქართველოდან), რომელიც ერთ თვეში შეიმუშავებს საკავშირო ფედერაციისა და საქართველოს კავშირის ურთიერთობის წესებს და ხელმოსაწერად მოამზადებს შესაბამის ხელშეკრულებას.**

**3. თუკი მომხდარის მიუხედავად, საქართველოს საკლუბო გუნდებს მაინც სურთ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა, მათ განაცხადი 15 მარტამდე უნდა წარმოადგინონ".**

მოდით, დადგენილების მესამე მუხლის შეფასებისაგან ამჯერად თავი შევიკავოთ. ეს საქმე თვით ჩვენს ფედერაციას მივანდოთ.

აი, რაც შეეხება პირველსა და მეორე მუხლებს, ჩვენი აზრით, ისინი მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ერთია საკავშირო ორგანოდან ხმაურით, აურზაურით გამოყოფა, როცა შინაური ცხოვრება მთლიანად მოსაწყობი, შინაომები კი — დასამთავრებელი გაქვს, და ამასთან გარკვეული დროით საერთაშორისო იზოლაციაცა გაქვს გარანტირებული, და სულ სხვაა, როცა „ცენტრს" აიძულებ, დამოუკიდებლად გცნოს, რაკილა როგორც შინ, ასევე გარეთ მყარად დგახარ ფეხზე.

**ზაალ ზიბინეიშვილი.**

---

# ბოლო ტურში გაირკვევა

**ისე** მოხდა, რომ ხუთი ერის პირველობის წლევანდელი გამარჯვებული ბოლო ტურში, პრეტენდენტთა ურთიერთშეხვედრაში გაირკვევა. საქმე ისაა, რომ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებმა აქამდე გამართული სამ-სამი თამაში მოიგეს და 17 მარტს ედინბურგის გარეუბან მარიფილდში ერთმანეთს შეეცილებიან არა მარტო კალკუტის თასს, რომელიც ამ ორ გუნდს შორის გამარჯვებულს ტრადიციულად ერგება, არამედ ჩემპიონობასა და ოთხივე მეტოქის ძლევისათვის დაწესებულ სიმბოლურ ჯილდოს, ე. წ. დიდ სლემსაც.

შაბათს გამართულ მეოთხე, ბოლოსწინა ტურში ინგლისელები ისვენებდნენ, შოტლანდიის გუნდი კი კარდიფის „არმზ ფარქზე" უელსის საგრძნობლად გადახალისებულ ნაკრებს ხვდებოდა. უცხოელ მიმომხილველთა აზრით, ეს მატჩი წლევანდელი პირველობის მშვენება იყო, თუმცა მეტოქეები მხოლოდ თითო ლელოს გატანას დასჯერდნენ. გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებდა, მაგრამ სათამაშო დისციპლინით ცნობილმა შოტლანდიელებმა იმდენი მაინც მოახერხეს, მასპინძლებზე ნაკლებად დაერღვიათ თამაშის წესები და უელსელთა დამრტყმელ სორბერნისათვის თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცათ. მართლაც სორბერნმა მხოლოდ თითო საჯარიმო და გარდასახვა შეაგდო, რასაც შოტლანდიელმა ჩალმერსმა სამი საჯარიმოთი უპასუხა. ლელოები ამ დღეს შოტლანდიელმა მორკინალმა ქრონინმა და უელსელმა გარემარბმა ემირმა გაიტანეს. გარდა ამისა, გუნდებმა თითოჯერ გაუძლეს მეტოქეთა ისეთ შემოტევას, როცა მთელი ათი (!) წუთის მანძილზე ბურთი დამცველის ლელოს არ მოშორებია. საბოლოოდ, შოტლანდიის გუნდმა გაიმარჯვა — 13:9 (10:3).

ამავე ტურში პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე ფრანგებმა ირლანდიელებს უმასპინძლეს. ამჟამად ორივე გუნდი კრიზისს განიცდის, ამიტომ თამაში ულიმღამოდ წარიმართა. ფრანგები მთელი შეხვედრის მანძილზე წინ იყვნენ, ირლანდიელები ხანდახან ამცირებდნენ სხვაობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, 70-ე წუთისთვის, მაინც გატყდნენ და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ — 12:31 (6:12). გამარჯვებულთაგან ორი ლელო შუამარბმა მენელმა გაიტანა, ერთი — გარემარბმა ლაჟისკემ, გარე ნახევარმცველმა დიდიე კამბერაბერომ კი, ხუთი საჯარიმოს გატანისა და ორი ლელოს გარდასახვის გარდა, პირველ ტაიმში 40-მეტრიანი გარღვევაც განახორციელა და მენელს პირველი ლელო გაატანინა. ირლანდიელთაგან შუამარბმა ქირნანმა დაარტყა ზუსტად ოთხი საჯარიმო (პირველი — მოედნის საკუთარი ნახევრიდან). აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიელებს პარიზში 1972 წლის შემდეგ აღარ გაუმარჯვნიათ.

ურთიერთობა

სპორტული საქართველო და უცხოეთი

# ახალი დაინტერესება

**ბოლო ხანს ბევრი უცხოური ფირმა ცდილობს თავისი კაპიტალი დააბანდოს საბჭოთა კავშირში. გარდაქმნამ სხვა სიკეთესთან ერთად გარე სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების საშუალებაც მოგვცა.**

ამ დღეებში საქართველოში სტუმრადაა ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელი ლეონიდ ჩერტკოვი (იგი ყოფილი საბჭოთა მოქალაქეა). სტუმარი შეხვდა საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობას და გააცნო თავისი მოსაზრებანი მომავალი საქმიანი ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ.

კითხვაზე, რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში და რამ განაპირობა მისი არჩევანი, იგი ღიმილით ამბობს:

— მიზანი რა თქმა უნდა, „კაპიტალისტურია". რაც შეეხება არჩევანს, ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, ვიცი თქვენი ხასიათი — რასაც ხელს მოჰკიდებთ, ბოლომდე მიიყვანთ. ალბათ, არცთუ უმნიშვნელო დეტალია ისიც, რომ ჩემი მეუღლე წარმოშობით თბილისელია.

● **როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ფირმის „სპეციალობა" მშენებლობაა. აპირებთ თუ არა რაიმე ააშენოთ საქართველოში?**

— ამ ეტაპზე როგორც საქართველოში, ისე მთლიანად საბჭოთა კავშირში ბიზნესის წამოწყება ძალზე სარისკო საქმეა. მიუხედავად ამისა, არსებობს მოსაზრება ბაკურიანსა და თბილისში სასტუმროების აშენების თაობაზე. ვიმეორებ, ეს ჯერ მხოლოდ მოსაზრებაა და არა გადაწყვეტილება.

● **გამოდის, რომ თქვენ ეგრეთ წოდებულ დაზვერვაზე ხართ ჩამოსული?**

— არა, არავითარ შემთხვევაში. მე მაქვს კონკრეტული წინადადება თქვენი რესპუბლიკისთვის მიკროტელევიზორებისა და მიკროელექტროტექნიკის, სპორტული ფეხსაცმლისა და თანამედროვე ტრენაჟორების, აგრეთვე საწარმოო დანადგარების მოწოდების შესახებ.

**დავძენთ, რომ ლეონიდ ჩერტკოვს გადაწყვეტილი აქვს საქართველოს უსასყიდლოდ გადასცეს 2,5 მილიონი დოლარის ღირებულების ერთჯერადი შპრიცები და სამედიცინო აპარატურა.**

ესაუბრა
**ბაქარ ბაჩეჩილაძე.**

# ჟოზეფ ი. ბლატერის ვიზიტს

**6 მარტს** მოსკოვში, სსრ კავშირის სპორტსახკომში ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართა პრესკონფერენცია. განიხილეს მრავალი აქტუალური საკითხი, საბჭოთა ნაკრების სამზადისი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, მრავალი საშინაო პრობლემა, ჟურნალისტთა შეკითხვებზე უპასუხეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კოლოსკოვმა და ნაკრების უფროსმა ნ. სიმონიანმა.

ვ. კოლოსკოვმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ 15 მარტს მოსკოვში ჩამოვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი. გენერალური მდივნის სტუმრობასთან მრავალი საკითხია გასარკვევი. მათგან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უარმა მისი გუნდების საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე გარკვეული პრობლემები წარმოქმნა და ი. ბლატერმა დაწვრილებით უნდა გაგვიმარტოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების ზოგიერთი პუნქტი.

შეკითხვაზე, რომ საკავშირო ფედერაციამ წინასწარ უკვე იცოდა საქართველოს გუნდების გადაწყვეტილება, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის არც ერთი წარმომადგენელი დროულად არ ჩავიდა თბილისში, რათა მოეხმო საქართველოს გუნდები საკავშირო გათამაშებებში, დარჩენილიყვნენ, ვ. კოლოსკოვმა უპასუხა:

— ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება ამის თაობაზე. ჯერ კიდევ რიო-დე-ჟანეიროში გამგზავრებამდე ვესაუბრე ქართველ ამხანაგებს. ეს საუბრები საგანგაშოს არაფერს იწვევდა, ვინაიდან ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს გუნდები არ გამოვიდოდნენ საკავშირო შეჯიბრებებზე, არ ყოფილა.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე თუ რას ხმარდება ჩვენი საფეხბურთო შემოსავალი, ვ. კოლოსკოვმა ასეთი პასუხი გასცა:

— შემოსავლის ნაწილი, დაახლოებით 25 ათასი დოლარი, დაიხარჯა უნიკალური აპარატის შესაძენად, რომელიც მაღალხარისხოვნად აკეთებს მენისკის ოპერაციას, ნაწილი — სპორტინვენტარის დამამზადებელი ფაბრიკის ასაგებად. სსრ კავშირის ნაკრების შემოსავალი, რომელსაც ის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მიიღებს, გადაირიცხება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე, რომელსაც ამიერიდან უფლება აქვს საკუთარი საჭიროებისამებრ მოიხმაროს ეს თანხა.

დადგინდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი გუნდის სამზადისის ამხანაგურ შეხვედრათა თარიღებიც. მატჩი ჰოლანდიის ნაკრებთან 28 მარტს შედგება კიევში, 25 აპრილს ნაკრები დუბლინში შეხვდება ირლანდიის ეროვნულ გუნდს. 18 და 20 მაისს სსრ კავშირის ნაკრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკლუბო გუნდებს ეთამაშება, 28 მაისს კი თელ-ავივში დაგეგმილია საერთაშორისო შეხვედრა ისრაელის ნაკრებთან.

**რედაქციისაგან: ეს ინფორმაცია ქვეყნდება მხოლოდ იმისათვის, რომ ქართველმა მკითხველმა და ფეხბურთის გულშემატკივარმა იცოდეს რა ხდება საფეხბურთო სამყაროში. სხვა პრეტენზია ამ პუბლიკაციას არა აქვს.**

მეგობრული შარჟები სადღესასწაულოდ



1. ნინო სალუქვაძე,
2. მაია ჩიბურდანიძე,
3. ნონა გაფრინდაშვილი,
4. ქეთევან კახიანი,
5. ქრისტინა ფალასინიდი,
6. ლეილა მესხი,
7. რუსუდან ხოფერია.

ნოდარ მდივნის ნახატი.

● **სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი**

**5 მარტს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 1 ტურის ბოლო შეხვედრები. მათი შედეგები ასეთია: „არარატი" (ერევანი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:3, „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:2, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (მინსკი) 3:1.

9 მარტს შედგება მეორე ტურის მატჩები.

# ევროპულ თასებზე

**გუშინწინ** სამშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშებათა ორი მეოთხედფინალური შეხვედრა.

ბელგიის „ანდერლეჰტმა" თასების მფლობელთა თასზე საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ავსტრიის „ადმირა-ვაკერი". უეფა-ს თასზე გფრ-ის „კიოლნმა", ასევე შინ, მოუგო ბელგიის „ანტვერპენს" — 2:0.

ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში გუშინ ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ „ბენფიკა" (პორტუგალია) და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" (სსრკ).

ცხენოსნობა – მკითხველი

**ანტვერპენში** გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების ევროპის ზონის მერვე ეტაპი (დაბრკოლებათა გადალახვა) ცხენოსნობაში. იგი მოიგო შვეიცარიელმა ტომას ფუქსმა, რომელმაც დასკვნითი დისტანცია უშეცდომოდ გაიარა და დროით აჯობა ინგლისელ მაიკლ უაითეიკერს, რომელმაც ასევე უჯარიმოდ დაამთავრა მარშრუტი.

რვა ეტაპის შემდეგ ევროპულ ზონაში საერთო ჯამში 60 ქულით ლიდერობს ფრანგი მხედარი როჟე ივ ბოსტი. მეორე ადგილზეა დასავლეთგერმანელი ფრანკ სლოოტჰააკი — 57 ქულა. სულ ოთხი ქულით ჩამორჩება ვაჟებს ბელგიელი მხედარი ქალი ეველინ ბლატონი. ათ საუკეთესოს შორის კიდევ ორი ქალი-მხედარია.

წინ კიდევ სამი ეტაპია, რის შემდეგაც (11-დან 16 აპრილამდე) დორტმუნდში (გფრ) გაიმართება ფინალი, სადაც ევროპელ კონკურსანტებთან ერთად ოკეანისგაღმელი მხედრებიც იასპარეზებენ.

**ლოს-ანჯელესის** ქუჩებში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო მარათონი. ქალთა შორის ტრასის ახალი რეკორდით (2:32. 25) გაიმარჯვა ამერიკელმა ჯული ისფორდინგმა. ფინიშთან მეორე იყო ტალინელი სირიეეიჰელმანი. ვაჟთა შორის, ძალზე დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა კოლუმბიელმა პედრო ორტისმა — 2:11.54.

ტრადიციული ქალთა მარათონი გაიმართა იაპონიის ქალაქ ნაგოიაშიც, სადაც 42 კმ და 195 მეტრი ყველაზე სწრაფად (2:31.04) გაირბინა პოლონელმა მარათონელმა ვანდა პანფილმა.

**„სპორტპროგნოზი"**

მე-9 ტირაჟის პროგრამა
(3-4 მარტი)

1—2, 2—1, 3—1, 4—X, 5—2, 6—2, 7—1, 8—1, 9—X, 10—1, 11—2, 12—2, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**საფრანგეთის** ავიაკომპა[...] „ერ ენტერის" ავიალაინერი ი[...] ლებული შეიქნა თითქმის აფრენ[...] თანავე სასწრაფოდ დამჯდარი[...] უკან, ბილიკზე. რამ გამოიწვია თ[...] თმფრინავის ეკიპაჟის ასეთი გა[...] წყვეტილება? საქმე ისაა, რომ ავ[...] ლაინერში იმყოფებოდა ოცდაათ[...] დე მორაგბე, რომლებმაც გა[...] წყვიტეს სალონში „გაეგრძელე[...] ნათ" წინა დღეს ნათამაშები მატ[...] სტრასბურგში იძულებითი დაჯდ[...] მის შემდეგ პოლიციის სპეცია[...] ურმა ქვეგანაყოფმა ძალით ჩამ[...] ვებინა თვითმფრინავი ნასვამ ს[...] რტსმენებს. მორაგბეები პარი[...] მატარებლით გაემგზავრნენ...

რედაქტო[...]
**თ. ბაჩეჩილაძ[...]**

**საბილიარდო სპორტი[...]**

**მოყვარულთა**

**საყურადღებოდ!**

საქართველოს საბილიარდო სპო[...] რტის ასოციაცია ამა წლის 20-2[...] აპრილს ქ. თბილისის ვერის ბა[...] ში მდებარე ბავშვთა კალათბუ[...] თის სასახლეში ატარებს

**სააღდგომო ტურნირს ბილიარდში**

ტურნირში გამარჯვებულისა [...] პრიზიორთათვის დაწესებულ[...] სპეციალური პრიზები. (ტურნი[...] ტარდება პირამიდაში).

ასპარეზობაში მონაწილეობ[...] მსურველთათვის ჩატარდება წ[...] ნასწარი საკვალიფიკაციო შეხვე[...] რები.

ტურნირში მონაწილეობის მს[...] რველებს ვთხოვთ განაცხადი წ[...] რმოადგინონ 25 მარტამდე.

ჩვენი მისამართია: — ქ. თბ[...] ლისი, მაჩაბლის ქ. № 11, ახა[...] გაზრდული სპორტული გაერთი[...] ნება.

ცნობისათვის დარეკეთ შემდ[...] ტელეფონებზე: — 93-99-9[...] 93-98-39,

**საორგანიზაციო კომიტე[...]**




სარკამარტო იუმორი

ვახტანგ კუციას ნახატები.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,
„შერანი" — 98-97-26, „მორიგე" — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ[...] დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფს[...] ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიზანაულის, 30.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 087[...]